ეროვნული ბიბლიოთეკა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

PRIX: 50 F. MENSUEL

№ 19 | ივლისი — 1954 — JUILLET | № 19



ევგენი გეგეჭკორი
(1882 - 1954)

# ძვირფასო თანამემამულენო,

თქვენ კარგად იცით ყველამ, თუ რა დიდი უბედურება დაგვატყდა თავზე: დღეს აქ საუკუნოდ ვეთხოვებით იმას, ვინც 45 წელიწადზე მეტი ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი იყო მტრისა და მოყვრის წინაშე და ყველგან და ყოველთვის ღირსეულად იცავდა ჩვენი ქვეყნის და ქართველი ერის სახელს და საქმეს.

25 წლის ახალგაზრდას, ევგენი გეგეჭკორს, ჩვენ ვხედავთ სრულიად რუსეთის სახელმწიფო დუმის ტრიბუნაზე, სადაც მან სულ ცოტა ხნის განმავლობაში ფრიად თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა და პატარა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, იგი, განსვენებულ კარლო ჩხეიძესთან ერთად, დიდი რუსეთის სახელმწიფო დუმის სოც. დემოკრატიული ფრაქციის ერთი ლიდერთაგანი გახდა.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ, იგი, ჯერ სრულიად რუსეთის მასშტაბით იცავდა დასავლეთის დემოკრატიის პრინციპებს; და შემდეგ, ჩაკეტილი ამიერ - კავკასიის საზღვრებში, იგი თავმჯდომარე იყო ამიერ - კავკასიის ეგრეთ წოდებულ კომისარიატის ანუ დროებითი მთავრობის, რომელმაც ფაქტიურად პირველი ზარი დარეკა ამიერ - კავკასიის რუსეთიდან ჩამოცილების.

თქვენ კარგად გახსოვთ აბობოქრებული ზღვა გაბოლშევიკებულ რუსის ჯარების, ოსმალეთის ფრონტი რომ გააშიშვლეს და გზა და გზა ჩვენს ქვეყანას დარბევას რომ უპირებდენ.

თქვენ გახსოვთ შეთქმულება ბოლშევიკების, ტფილისში ალექსანდრეს ბაღიდან საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობას გარეკას რომ უპირებდენ;

თქვენ გახსოვთ ეგრეთ წოდებული „მე -300 ვერსტი“ს და „შამქორის“ ამბები...

და აი სწორეთ ამ ცეცხლში და ამ უდიდეს საშიშროებაში და გასაჭირში ევგენი გეგეჭკორი უდიდეს საპასუხისმგებლო პოსტებზე იდგა, ხან, როგორც მთავრობის თავმჯდომარე და ხან როგორც სამხედრო მინისტრი. და თავის ნიჭისა და გაბედულობის წყალობით მუდამ საუკეთესო გამოსავალს პოულობდა შექმნილ მდგომარეობიდან.

თქვენ გახსოვთ ამიერ - კავკასიის სახელმწიფოს ხანმოკლე არსებობა, სადაც ევგენი გეგეჭკორი მუდამ შემარიგებელ როლს თამაშობდა ერთა შორის უთანხმოებაში.

როცა დრო დადგა და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ევგენი გეგეჭკორი მხოლოდ დროებით ჩამოცილდა მთავრობის წრეში მუშაობას, როგორც მთავრობის წევრი, მაგრამ სულ მალე დაიჭირა მისთვის უდავოთ მიჩნეული ადგილი საგარეო საქმეთა მინისტრისა.

აქ იგი ცდილობდა, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს მიერ კანონიერი უფლებების მოპოებას საერთაშორისო ოჯახში და ამას მიაღწია კიდეც.

შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია და მწარე ბედი ემიგრანტისა; მაგრამ ემიგრაციაშიც იგი პირველ ადგილზე იდგა, როგორც მებრძოლი საქართველოს უფლებებისათვის და დაუღალავი მუშაკი უცხოეთის სულ სხვა და სხვა წრეებში: მთავრობების წინაშე, პარლამენტებში, ნაციათა ლიგაში, მშვიდობიანობის კონფერენციებზე, სოციალისტების კონგრესებზე, - მისი ხმა გაისმოდა ყოველგან საქართველოს უფლებების დაცვისთვის.

სულ უკანასკნელ დროსაც, მძიმე პირობებში, თუ მოხერხდა რუს და არა-რუს ერების ერთ მთლიან საქმეში ჩაბმა და ერთ მოთხოვნაში გაერთიანება, ამაშიც განსვენებულს დიდი ღვაწლი მიუძღვის და ამისთვის სრულიად სამართლიანად ამ გაერთიანების თავმჯდომარეთაც იყო არჩეული.

და აი ამ დროს, როცა ყველა სხვა დროზე უფრო საჭირო იყო მისი ნიჭი და გამოცდილება, რათა ჩვენი საქმე სწორ გზას არ ასცდეს, ამ დროს უეცრად წყდება მისი გულისცემა და დუმდება მისი მჭერმეტყველი ენა.

ქართველმა ერმა დაკარგა ევგენი გეგეჭკორის სახით ერთი უდიდესი მისი ერთგული შვილი, სახელმწიფო მოღვაწე და გამოცდილი დიპლომატი.

ბედმა არ დაგვზოგა: ამ ერთი წლის წინათ ჩვენ დავკარგეთ ნოე ჟორდანია, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ცოცხალი განსახიერება, ერის ნამდვილი ბელადი; დღეს აქვე, ამ უცხოეთის მიწას ვაბარებთ ჩვენი უფლებათა ნიჭიერ დამცველს ე. გეგეჭკორს.

უდიდესი დანაკლისია! და, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ამ დანაკლისს ჩვენთან ერთად განიცდიან საბჭოთა კავშირში მომწყვდეული სხვა არა - რუსის ერებიც, რომელნიც ჩვენ-

თან ერთად თავის ეროვნულ უფლებათა აღდგენისათვის იბრძვიან.

ევგენი გეგეჭკორის დაკარგვის ამბავი მეხივით გავარდება მთელ მსოფლიოში გაბნეულ ქართველ და არა ქართველ ემიგრაციაში და იქაც, საქართველოში.

მეტად მგრძნობიარე ადამიანი პირად დამოკიდებულებაში, ოჯახში და მეგობრებში, ევგენი გეგეჭკორი სხვის ჭირსა და ვარამს, უსაზღვრო ემიგრაციაში, თავის საკუთარ ჭირათ და ვარამათ სთვლიდა და ყოველ ღონისძიებით ცდილობდა გაჭირვებაში ჩავარდნილ თანამემამულის დახსნას. ბევრნი არიან ჩვენს ემიგრაციაში, რომელთაც მისი კარგი გული და მისი დახმარება გამოდგომიათ...

ყოველივე ამ საქმიანობამ მოქანცა მისი ორგანიზმი, დაღალა მისი მგრძნობიარე გული და მოსწყვიტა იგი უეცრათ და უდროოთ მის ძვირფას და საყვარელ ოჯახს, მის მეგობრებს და იმ დიდ საქმეს, რომელსაც იგი ასე ერთგულათ ემსახურებოდა...

ახლა... მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო ევგენი! მე მარგუნა ბედმა მეთქვა შენთვის ეს უკანასკნელი სიტყვა და ვბედავ, აწ დამუნჯებული ქართველი ხალხის სახელით გითხრა, რომ შენ პირნათლათ შეასრულე მის წინაშე შენი მოვალეობა და იგი მადლობით შეგიტანს შენ თავის ისტორიაში.

შენი განშორება განსაკუთრებით მძიმეა ჩვენთვის, ვინც თითქმის 40 წელიწადი შენთან გავატარეთ ყოველდღიურ ურთიერთობაში. ახლა, შენგან მიტოვებულს, ის-ღა დაგვრჩენია, რომ აღვითქვათ: შენს ჭაპანს, შენ მიერ სახელოვნად ტარებულს, გავწევთ ჩვენი სუსტი ძალების უკანასკნელ შესაძლებლობამდის. *)

---

*) სიტყვა წარმოთქმული ზ. კ. კანდელაკის მიერ, დასაფლავების დღეს, ლევილის სასაფლაოზედ.

## ევგენი გეგეჭკორი

„ახალგაზრდობაში სპორტი მიყვარდა, მიზიდავდა, მიტაცებდა კიდევაც“— ასე ამბობდა ხშირად ევგენი. მერე მარცხი მოუვიდა: ფეხი მოიტეხა. მოწოდების ძიება — გამომჟღავნებაში ახალ, სულიერ სპორტს, დაეწაფა. შიმრქმელი ამ გზაზე მისი სკოლის ამხანაგი—მეგობარი—გრიგ. ლორთქიფანიძე გახდა. ახალგაზრდა იდეალისტთა წრეს ეზიარა: ხალხთან მიახლოვება, მაშვრალთა ჭირ - ვარამის გაზიარება და........ სათანადო მალამოს კვლევა - ძიება!

სტუდენტობის ხანაში, უკვე გარკვეული საზოგადოებრივი და ეროვნული ემოციებით აღჭურვილი, თავის ამხანაგების ყურადღებას იპყრობს და პერმანენტული თავმჯდომარე ხდება მოსკოვის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოსი.

უნივერსიტეტის დასრულებისას, ევგენის, ფართე საზოგადოებაში ჯერ კიდევ სრულიად უცნობ ახალგაზრდას, საზოგადოებრივი და პოლიტიკური პერსპექტივა ეხსნება: სოც. დემ. პარტია მას წამოაყენებს კანდიდატათ სახელმწიფო სათათბიროში... მასზე დამყარებულ იმედს ახალგაზრდა დეპუტატი ერს სავსებით გაუმართლებს. მისი პირველი, სიმბოლიური მთელის კარიერისათვის, თვითმპყრობელობასთან საჯარო გაჯიბრება - გალაშქრების საგანი ჩაგრული და ამაყი ერის - ფინების — ბედი იყო. და აქ მოხდა პირველათ გამოცხადება ციური ნიჭისა და პოლიტიკური მჭერმეტყველობის უნარის.

თებერვლის რევოლიუცია. მის ქარიშხალს მოჰყვება სამოქალაქო ომი და მასთან ერთად იმპერიის რკალში მოქცეულ ერთა ამოძრავება. ამიერ-კავკასია, მოწყვეტილი ძველი იმპერიის ცენტრს, ჰქმნის საკუთარ დროებით მთავრობას „ამიერ - კავკასიის კომისარიატის“ სახით, რომლის სათავეში კავკასიის ერთა საერთო სურვილით, ევ. გეგეჭკორი მოექცევა. ეს ეფემერიონი კავკასიის ფედერაციისა, სამწუხაროთ, დღენაკლული გამოდგება: ექსპერიმენტი, რომლის წარმატება, სხვათა შორის, ჩვენმა სამხრეთის მეზობლებმა იმ დროს არ მოისურვა, — უნაყოფოდ არ ჩაივლის და მომავალი თაობანი მასში ბევრ რამე საგულისხმიეროს ამოიკითხავენ და გაკვეთილათ გამოიყენებენ...

შემდეგი ეტაპი... ხანა დამოუკიდებელ საქართველოს დაწესებისა და დამკვიდრებისა: ეროვნულ - სახელმწიფოებრივ კალატოზთა შორის, პირველ რიგში, ევგენი გეგეჭკორს ვხედავთ, როგორც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის მეთაურს. პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველ ხანებში ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო ხელმძღვანელი ძალთა გავლა - გამოვლის ასპარეზი ხდება: ერთნი მიდიან, მეორენი მოდიან. ყველასთან, ეროვნული ღირსების დაცვით მიახლოვება და მათი აქტიური სიმპატიების ჩვენი ერის მისწრაფებისკენ მოქცევა — მომენტის მიუცილებელი ამოცანა ხდება. რა ფაქიზი უნარიანობით და ღირსებით სრულდება ყოველივე ეს ევგენის ხელმძღვანელობით — ამის მაგალითები მრავლადაა აღბეჭდილი ჩვენს მეხსიერებაში.

მკვდრეთით აღდგენილ, განახლებულ საქართველოს მაჯის ცემა უხეშმა, გარეშე ძალამ შეაჩერა... იშლება ფურცელი ლტოლვილ და დევნილ პატრიოტებისა. დუმილით მოცულ ქვეყნის, ენა-დაბმულ ერისწილ ლაპარაკი, პროპაგანდა მრავალ ფერადებში, პროტესტ - მოწოდებანი ამა ქვეყნის ძლევა - მოსილთა მიმართ: მთავრობანი და ერთა ლიგა, კონფერენციები და კონგრესები... სადაც კი ხმა მიწვდება და კარის შეღება შეიძლება, — ყოველგან და ყოველთვის ვხედავთ ევგენის, სხვა ჩვენ ეროვნულ ბედის დიდ მესვეურებთან ერთად პირველ რიგში. ოცდაათიან წლებში ევროპის მღელვარე ზღვაში ახალი ძალა ისახება, როგორც რეაქცია მოსკოვის წითელ დიქტატურის წინააღმდეგ. მსოფლიო ომის ცეცხლიც მალე დაინთება: მოედება რუსეთ - უკრაინის ველებს, დაეშვება სამხრეთისაკენ, უახლოვდება კავკასიას. იბადება ილუზიები... საგრძნობი ნაწილი ქართველი ახალგაზრდობისა, მაღალ პატრიოტულ გრძნობით აღგზნებული, ბრძოლის ველისაკენ გაეშურება — ევგენი ამ დროს ნამდვილ დრამას განიცდის. ის გრძნობს და ფიქრობს, თუ კავკასიონის ქედი გადალახა ჰიტლერის ჯარმა და ჩვენი ქვეყანა ბრძოლის ასპარეზათ გახდა ძლევა - მოსილ ბუმბერაზთა შორის — ცხადია, პატარა ერის ფიზიკური არსებობა, შესაძლოა, საფრთხეში ჩავარდეს. ასეთ პერსპექტივის წინაშე განსვენებული სასოწარკვეთილებით ქედს არ იხრის; მისი დინამიური ბუნება უძლურებასაც ვერ ურიგდება. გამოსავალის კვლევა - ძიებაში წინასწარ ყოველგვარ საშვალებას მიმართავს, რათა უბედურება თავის ერს ააცილოს...

ომი დასრულდა. სულ მოკლე ხანში ახალი მდგომარეობა იქმნება: თავისუფალი კაცობრიობა, დასავლეთის დემოკრატია, ჩინგის ხანის თანამედროვე მემკვიდრეებს დაუპირდაპირდება. კულტურისა და ცივილიზაციის მებაირაღტრენი შეერთებული შტატების მეთაურობით, პირველ ხანებში სიფრთხილით და ერთგვარი შიშითაც სინჯავენ ნიადაგს. საქმიან და პრაგმატიულ კონცეპციის მიმდევარნი ცდას ცდაზე აკეთებენ (შეცდომებსაც, ცხადია, ვერ აცდებიან) რომ საბოლოო ანგარიშში, მაინც ბრძოლის სწორ გზაზე გამოიყვანონ ყველა სასიცოცხლო ძალები თავისუფალ კაცობრიობისა.

საბჭოთა კავშირში მოქცეულ ერთა პოლიტიკური ემიგრაციის თავის მოყრა და დარაზმვაც იწყება. თვით რუსის ემიგრაციის ის ნაწილი, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, სწორათ გამოხატავს რუსის ხალხის მისწრაფებას და სულისკვეთებას, იმპერიალისტურ ზრახვებს მოკლებულს, — უკვე ჰპოულობს და უნდა მოიპოვოს კიდევ უფრო ფართე ადგილი ერთა - შორის ანტიკომუნისტურ ფრონტში. ჩვენი წმინდა მოვალეობაა, ჩვენი ერის ინტერესებთან შეფარდებული, რომ ყოველივე ცდას ამ მიმართულებით ხელიც შეუწყოთ. ასე, ამ რიგათ, საერთო ფერხულში ჩადგომით, ერთიანი ფრონტის კლდესავით აღმართვა უნდა მოხდეს საბჭოთა ტირანიის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რათა მისი ექსპანსიის არტერიები გადაიჭრას და მით გზა გაეხსნას ადამიანსა და ერთა თავისუფლებას. ეს იყო განსვენებულის პოლიტიკური სტრატეგიის მრწამსი. ეს არის მისი ანდერძი.

ადამიანობის და სათნოების ემბაზში მონათლული — ევ. გეგეჭკორი — ქართველი ერის სამსახურში და მის უფლებათა დაცვაში ერთი მხრივ, და, ეროვნულ და სოციალურ სამართლიანობისათვის ბრძოლაში, საერთოდ, — განვლის ცხოვრების ეკლიან გზას...

უკანასკნელ ჟამს, იმედის სხივით გაშუქებული და, კვლავ გამოცოცხლებული ეროვნულ საქმიანობით ფრთებ შესხმული, — თითქოს მეორე ახალგაზრდობას განიცდის. ჩვენ ხომ ცოცხალი მოწამენი ვიყავით უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, თუ როგორი ენტუზიაზმით უყრიდა თავს მრავალ ეროვნებათა სასიცოცხლო ძალებს ემიგრაციაში, და მით დიდი პატივი დაიმსახურა შინ და გარეთ. მაგრამ, ბოროტ ძალასთან ჯიბრში და ჭიდილში, მუდამ ჟამს დაჭიმული ნერვები გულს ასუსტებს და მოულოდნელად მოსწყვეტს საქმეს. ერის ინტერესების სადარაჯოზე მუხთალი ბედი მას სდარაჯობდა...

მტერი ხარობს, მაგრამ ამაოთ. გლოვის ზარმა ძალთა გაშლასთან ერთად, რიგების მჭიდროთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამგლოვიარო დეპეშები და წერილები

**საქართველოს ეროვნულ მთავრობას**

(კ. კანდელაკს.)

ეს არის გავიგე ევგენი გეგეჭკორის გარდაცვალება და ვისწრაფი გაგიზიაროთ ჩემი სევდა და თანაგრძნობა. უკანასკნელი შეხვედრის დროს წარსულ ზაფხულში, მე ის მომეჩვენა სრულიად ჯანმრთელად. მან გაბედულად ხელთ ეპყრა პატრიოტული ჩირაღდანი, რომლის სხივები განსვენებულმა ნ. ჟორდანიამ მსოფლიოს მოჰფინა და ურყევი რწმენით და გატაცებით სდარაჯობდა საქართველოს დამოუკიდებლობის წმიდა საქმეს. რა მოულოდნელობაა ამ წასვლაში და რა ზედმეტი ჯაფით და პასუხისმგებლობით გტვირთავთ ის თქვენ, ცოცხლად დარჩენილებს! მიიღეთ ცნობა ჩემი სევდის, თბილი გრძნობებისა და იმედიანობის ჟენევიდან, საიდაც ამოდენი შრომა გასწია ევ. გეგეჭკორმა ერთა ლიგის სფეროში.

თქვენი მუდამ ერთგული:

**ჟან მარტენი**

საქართველოს განთავისუფლების ინტერნაციონალური კომიტეტი.

---

ჩემი ულრმესი თანაგრძნობა დიდი სახელმწიფო მოღვაწის დაკარგვის გამო.

**ვიტვიცკი**

უკრაინის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

---

ძვირფას მეგობრის ევ. გეგეჭკორის გარდაცვალება დიდი დანაკლისია კავკასიის ერთათვის. გულწრფელი სამძიმარი ოჯახს.

**ნავასარდიანი**

ქაირო 7 ივნისი 1954 წ.

---

გთხოვთ გადასცეთ ქ-ნ გეგეჭკორს ჩემი გულწრფელი სამძიმარი და მწუხარე მისი ძვირფასი ქმრის გარდაცვალების გამო. საქართველომ დაჰკარგა დიდი პოლიტიკური ფიგურა, ხოლო პარიზის ბლოკმა — მისი საუკეთესო და შეუცვლელი ჩემპიონი.

**დრო**

ბოსტონი. 9 ივნისი 1954 წ.

---

ბ-ბო! ემიგრაციაში, 1921 წლიდან ჩვენი დელეგაცია თანამშრომლობდა თქვენს ეროვნულ მთავრობასთან, საერთო ღონისძიებით, ჩვენი სამშობლოების გასანთავისუფლებლად უცხო ბატონობისაგან. ჩვენი შეხვედრების დროს ჩვენ მუდამ ვაფასებდით ჩვენი განსვენებული მეგობრის ბრძნულ რჩევებს, მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენში.

თავმჯდომარე: **სამუელიანი**

---

ძვირფასო მეგობარო! ღრმა გულისტკივილით გავიგე ჩვენი მეგობრის ევ. გეგეჭკორის გარდაცვალება. მიიღეთ ჩემი გულწრფელი სამძიმარი როგორც თქვენ ისე მისმა ოჯახმა და პარტიამ, დიდი დანაკლისია ეს თქვენთვის, მაგრამ ასევე დიდია ჩვენთვისაც და ჩვენ ვიზიარებთ თქვენ ღრმა მწუხარებას. ულრმესი პატივისცემით ვიხრი თავს მისი ხსოვნის წინაშე.

**კ. ბალაიანი**

---

მეგობრებო! უზომო დანაკლისი, რომელმაც თქვენ ასე დაგამწუხრათ, იმ დროს, როცა ჩვენ წინ იმედის ნაპერწკლები სჩანდა, თავზარს სცემს თქვენთან ერთად ყველა კავკასიელ პატრიოტებს რომელთა უხუცესი იყო იგი. ულრმეს პატივისცემით და მწუხარებით ვიხრი თავს ძვირფას მიცვალებულის წინაშე ჩემი და აზერბეიჯანის ეროვნული გაერთიანების საბჭოს სახელით და გთხოვთ მიიღოთ გულწრფელი სამძიმარი და თანაგრძნობა.

**ჯეიხუნ ბეიჰ ბეილი**

---

ბელორუსიის ხალხის და მისი დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი წარმომადგენლობის — რადის სახელით უცხოეთში, ვუძღვნი ჩემს ღრმა თანაგრძნობას მოძმე დაჩაგრულ ქართველ ერს, საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის უეცარი განშორების გამო, სწორედ იმ დროს, როცა მთელი მისი ზრუნვა ენერგიულად მიმართული იყო ბოლშევიზმის წინააღმდეგ

---

შეკვრა ჩამორეკა! ახალი და ახალგაზრდა ძალებს მოუწოდებს.

ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ ევგენის წმიდა ანდერძი ღირსეულად შესრულდება!...

**ნ. ც.**

ბრძოლის საერთო ფრონტის გამართვისაკენ. ამ დაუღალავი ქართველი პატრიოტის და ბრწყინვალე სახელმწიფო კაცის დაკარგვა ბოღმით ავსებს ყველა თავისუფლების მოყვარულთა გულს.

რადიოს თავმჯდ. მოადგილე: დრ. კ. **ტუმაში**

---

ბელორუსიის საუნივერსიტეტო ორგანიზაციათა ცენტრი უცხოეთში უცხადებს საქართველოს ეროვნულ მთავრობას თავის ღრმა მწუხარებას და თანაგრძნობას დაუვიწყარი პრეზიდენტის ევგენი გეგეჭკორის გარდაცვალების გამო.

ცენტრი მუდამ აღტაცებით ადევნებდა თვალყურს დიდი ქართველი სახელმწიფო მოღვაწის ცოდნა - გამოცდილებას და დაუღალავ მზრუნველობას საერთო საქმისათვის. მასში წარუშლელი დარჩება მადლიერი ხსოვნა მისი სიმპატიისა ბელორუსიის საქმისადმი და იმ გულთბილი თანამშრომლობის, რომლითაც ის ღირსჰყოფდა ბელორუსიის ორგანიზაციებს.

თავმჯდომარე: **კვირკა**
მდივანი: **სანკოვიჩი.**

---

ბელორუსიის ეროვნული კომიტეტი გერმანიაში გთხოვთ მიიღოთ უღრმესი თანაგრძნობა ქართველი ხალხის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის ევგენი პეტრესძე გეგეჭკორის გარდაცვალების გამო. მოძმე ქართველ ხალხთან ერთად ბელორუსიის ხალხი განიცდის ღრმა მწუხარებას. დაუღალავი ქართველი პატრიოტი, ევგენი პეტრესძე გეგეჭკორი იყო, ამავე დროს, შეურიგებელი მებრძოლი დაპყრობილ ერთა დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის გამარჯვებისათვის.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში განსვენებულმა მოანდომა უზომო შრომა, გამოცდილება და პოლიტიკური ტაქტი ბოლშევიზმის მიერ დაჩაგრულ ერთა გაერთიანებას პარიზის ბლოკში. მისი დაკარგვა მძიმეა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ბელორუსიისათვისაც.

სამუდამო ხსოვნა ევგენი პეტრესძე გეგეჭკორს!

თავმჯდომარე: **კვირკა.**

---

უკრაინის ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახელით გიცხადებთ ჩემს გულწრფელ თანაგრძნობას მინისტრ ევ. გეგეჭკორის გარდაცვალების გამო. საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მედგარი მებრძოლი, დაუვიწყარი მინისტრი სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში. ყველა ჩვენ, პოლიტიკური ემიგრანტები, განურჩევლად ეროვნებისა, განსვენებულ მინისტრის პიროვნებაში ვხედავთ და ვგრძნობთ ჩვენი საერთო იდეალის — თავისუფლების და დამოუკიდებლობის შეუდარებელ დამცველს.

უკრაინის ერ. საბჭოს კომიტეტი.

ქართ. ეროვ. საბჭოს (ნ. ცინცაძეს)

ღრმად ვარ დამწუხრებული ბოლშევიკური ტირანიის წინაღმდეგ ბრძოლის შეურიგებელი ვეტერანის გარდაცვალებით. თავის განთავისუფლების ჟამს ქართველი ხალხი მოწიწებით პატივს სცემს მისი თავისუფლებისათვის ამ უმწიკვლო მებრძოლის ხსოვნას, რომელსაც არას დროს არ შეურყევია რწმენა მისი ხალხის მისწრაფებაში თავისუფლებისადმი და წინაღუდგა ბოლშევიკურ ფილოსოფიას. ქართულ ემიგრაციას მან გაუწია საქმიანი ლიდერობა და ხელმძღვანელობდა მას დიდი ზომიერებით.

მისი დანაკლისი განსაკუთრებით საგრძნობი იქნება იმ პერიოდში, როდესაც, მე იმედი მაქვს, ამერიკულ ძალთა და ანტიკომუნისტურ ემიგრაციის ბრძოლა ბოლშევიზმის წინაღმდეგ მიიღებს განახლებულ სიმტკიცეს და ძლიერებას. მე იმედი მაქვს, რომ ევგენი გეგეჭკორის მიერ ამ საქმისადმი შეწირული მრავალ წელთა მოგონება ემიგრაციაში მყოფ მის თანამემამულეთ შესძლებინებს განაახლონ და გაამრავლონ მათი ღონისძიებანი ანტიბოლშევიკური ბრძოლის წარმატებისათვის რასაც ის ასე გულწრფელად ემსახურებოდა.

**ლი. ს. სტივენსი**
ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკული კომიტეტის თავმჯდომარე.

---

თავზარდაცემული ვართ თქვენი დიდი ლიდერის დაკარგვით ამ მომენტში, როცა მთელ ემიგრაციას შეეძლო მისი ბრძნული რჩევებით სარგებლობა. გთხოვთ გადასცეთ თქვენს მეგობრებს და ქ-ნ გეგეჭკორს ჩვენი ღრმა სიმპატია.

**კუნიჰოლმ, დონ ლევინ**

---

დიდად აღელვებული და დამწუხრებული ვარ თქვენი დიდი ლიდერის და ჩემი კარგი მეგობრის გარდაცვალებით. ტრაგიკულია რომ ის გაგვშორდა ანტიბოლშევიკური ფრონტის ჩამო-

ყალიბებამდის, რომლის გასამართავად იგი ასეთი მზრუნველობით მუშაობდა. გთხოვთ მიიღოთ ჩემი უღრმესი სამძიმარი.

**რობერ კელლი**

---

ორგანიზაციები: 1. შეერთებულ შტატების ქართველთა ასოციაციისაგან — ბ. ლ. დუმბაძე.
2. საქართველოს დამოუკიდებლობის ამერიკული საბჭო — ბ.ბ. კობახიძე, აბაშიძე, არველაძე, გოგობერიძე, ლაღონია, ნანუაშვილი.
3. მიუნხენის ქართველთა ასოციაცია — ბ-ნი გ. მალალაშვილი.
4. აზერბეიჯანის დელეგაცია — ბ. შეიხულისლამი.
5. —„— —„— ჰაჯიბეილი.
6. უკრაინის საურთიერთო დახმარების ცენტრი — ბ. კამურა.
7. ეროვნული მთლიანობის მოძრაობა „თეთრი გიორგი" — ბ. ბ. კ. სალია, აკ. გამსახურდია.
8. ჩრ. კავკასიის ერ. კომიტეტი. ბ. ა. მაგომა.
9. ბრიუსელის ქართველთა ასოციაცია — ბ-ნი ირ. ოთხმეზური.

ბ-ები: გრ. ბერიძე, გუბერნატორი ვალანტენ სმიტი, მიხეილ წერეთელი, ნიკო ნაკაშიძე, ალ. კორძაია, მიხეილ ალშიბაია, გენ. ფლიპო, ედგარ მილო, ჟან ლეკიუერ - ელჩი, ილ. გოლდმანი.

---

**ქართულ ერ. საბჭოს აღმასრულ. კომიტეტს.**
(ნ. ცინცაძეს.)

გაერთიანებული უკრაინის გლეხთა პარტია უცხადებს ქართულ ეროვნულ საბჭოს უცხოეთში თავის ღრმა მწუხარებას საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის გარდაცვალების გამო.

მშვიდობა მის ბრწყინვალე ხსოვნას!

უკრაინის ხალხი არასოდეს დაივიწყებს მასთან ერთად ხალხთა თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ პატრიოტს.

მიუნხენის კომიტეტის წევრები:
დუბროვსკი, ბუდენკო, კოზმენკო,
კოლევატის, ივანიშკო.

---

იდელ - ურალის ხალხთა განთავისუფლების კომიტეტი სტამბოლში, მისი წარმომადგენლობა გერმანიაში და გაზ. „მილლი ბაირაკის" რედაქცია უცხადებს თავის გულწრფელ თანაგრძნობას დამწუხრებულ ოჯახს, თანამემამულეებს და ერ. საბჭოს აღმ. კომიტეტს ცნობილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწის, საქართველოს თავისუფლებისათვის უდიდესი მებრძოლის, პარიზის ბლოკის დამაარსებლის და თავმჯდომარის, არარუს ერთი დიდი მოქალაქის, ევგენი გეგეჭკორის გარდაცვალების გამო.

იდელ - ურალის ხალხთა განთავისუფლების კომიტეტი, გაზ. „მილლი ბაირაკი"-ს რედაქცია.

---

ჩემი და თურქესტანის განთავისუფლების კომიტეტის სახელით უღრმეს სამძიმარს ვუცხადებ ქართულ ეროვნულ საბჭოს და ყველა ქართველს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის გარდაცვალების გამო.

თავმჯდომარე: **ბერდი მურატ.**

---

გთხოვთ მიიღოთ ჩემი უღრმესი თანაგრძნობა ბ-ნ გეგეჭკორის გარდაცვალების გამო. ჩვენმა საქმემ დაჰკარგა დიდი ხელმძღვანელი და დიდი მეგობარი.

**ისააკ პატჩი**

---

ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ლიგა გამოსთქვამს უღრმეს მწუხარებას ბოლშევიკური ტირანიის შეურიგებელ მტრის, ქართველ ხალხის თავისუფლების დამცველ ევგენი გეგეჭკორის უეცარი გარდაცვალების გამო.

თავმჯდომარე: **ბორის ნიკოლაევსკი.**

---

დაუვიწყარი ევგენი პეტრესძე გეგეჭკორის დასაფლავების დღეს შეკრებილი ყრილობა პარიზის ბლოკში შემავალ ეროვნულ ცენტრთა წარმომადგენლებისა, იზიარებს ქართული ეროვნული საბჭოს, ყველა ქართველ პატრიოტთა და თქვენს ღრმა მწუხარებას ქართველი განმანთავისუფლებელი მოძრაობის და საბჭოთა კავშირის დაჩაგრულ ერთა ბრძოლის ხელმძღვანელის სამუდამოდ განშორების გამო. ქართველ ხალხთან ერთად განვიცდით უზომო სევდას და ვაღიარებთ ურყევ ერთგულებას იმ იდეებისადმი, რომლებსაც ევგენი პეტრესძე ემსახურებოდა და შესწირა თავისი სიცოცხლე.

სხდომის თავმჯდომარე: **ს. დოვგალი.**

## სოციალისტური პარტიებისაგან

(კ. გვარჯალაძეს.)

ეხლა, როცა კიდევ ერთი ახალი უბედურება დაატყდა თავს ქართველ ემიგრაციას, ფრანგ სოციალისტების სახელით გიცხადებთ ჩვენ ძმურ თანაგრძნობას და გამოვთქვამთ ჩვენ ღრმა მწუხარებას.

ამხანაგი გეგეჭკორი დარჩება ჩვენ მახსოვრებაში არა მხოლოდ როგორც ერთი პირველი ფუძემდებელთაგანი საქართველოს რესპუბლიკის, რომლის დაცვას თავი შესწირეს ამდენ სოციალისტებმა; ის იქნება აგრეთვე სიმბოლო მუდმივ ერთგულებისა მისი იდეალის და დემოკრატიისადმი, განსახიერება შეუწყვეტელ ბრძოლისა სამართლიანობისა და თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს გასამარჯვებლად ამ მომენტშიდაც, როცა დროებით გამეფებულია ლაჩრული შიში.

თუმცა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში არა მხოლოდ საქართველოს უტარებია ემიგრაციის მძიმე უღელი, მიუხედავად ამისა მას ჩვენ გონებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია, გახდა რა ის პირველი მსხვერპლი საბჭოთა იმპერიალიზმისა. ამ ფაქტის გამო საქართველოს მდგომარეობას ეძლევა ისტორიული მნიშვნელობა და თავისუფალი მუშათა კლასის გრძნობებში და აზროვნებაში მას მიენიჭება უპირატესობა, რომელსაც ეს 33 წელია სოციალისტური ინტერნაციონალი მას აკუთნებდა.

დროთა განმავლობას სრულიადაც არ შეუნელებია ჩვენი რწმენა, რომ კვლავ აღსდგება თავისუფალი საქართველო, რომელსაც დაბოლოს შეუძლია ითამაშოს ტრადიციულად შემაერთებელი როლი აღმოსავლეთ და დასავლეთს შორის გეოგრაფიულ მდებარეობას მისთვის რომ მიუნიჭებია.

ამიტომ ამ გლოვის დღეს, მე კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გაუსვა ფრანგ სოციალისტების რწმენას, რომ მომავალში გეგეჭკორი, როგორც ჩხეიძე და ჟორდანია ჰპოვებენ მათ უკანასკნელ განსვენებას თავისუფალ საქართველოში.

**გი მოლლე**

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი, ინტერნაციონალის თავმჯდომარის მოადგილე.

ფრანგ სოციალისტური პარტიის მთავარმა კომიტეტმა დასაფლავების დღეს თავის წარმომადგენლებად წარმოგზავნა დეპუტატი ანდრე ბრელი და რობერ პონტიონი.

---

დიდ მწუხარებას გამოვთქვამთ ამხანაგ ევგენი გეგეჭკორის გარდაცვალების გამო და თქვენთან ერთად ვგრძნობთ იმ დიდ დანაკლისს, რომელსაც თქვენ განიცდით. მხოლოდ იმ პარტიებს, რომელნიც იძულებულნი ყოფილან არალეგალურად ეცხოვრათ და რომელთა ხელმძღვანელებს ციხეებში და ემიგრაციაში მწარე დღეები უგემიათ, შეუძლიათ გაიგონ, თუ რა დიდია ქართველ ამხანაგებთა დანაკლისი. თქვენთან ერთად ვიმედოვნებთ, რომ გეგეჭკორის მოსაგონებლად თავისუფალ საქართველოში კვლავ აღსდგება ძლიერი ქართული სოციალ-დემოკრატია.

**გერმანიის სოც. დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი.**

---

გავიგეთ პარიზში გარდაცვლილა ევგენი გეგეჭკორი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი და სოც. დემოკრატიული პარტიის ერთი ლიდერთაგანი. გარდაიცვალა ის ემიგრაციაში დაშორებული მის ქვეყნის და მისი საყვარელი ერისაგან. მიიღეთ ჩვენი უღრმესი თანაგრძნობა და ძმური სალამი.

იტალიის სოც. დემოკრატიული
პარტიის მდივანი: **მატეო მატეოტი.**

---

ევგენი გეგეჭკორის გარდაცვალების გამო დიდ თანაგრძნობას ვუცხადებთ ქართველ ძმურ პარტიას. გეგეჭკორი იყო ფინლიანდიის ერთგული მეგობარი, მის ხსოვნას ფინლიანდიელები მუდმივად შევინახავთ, როგორც დიდი განძი.

**ფინლიანდიის სოც. დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი.**

---

გულისტკივილით გავიგე გეგეჭკორის გარდაცვალება. გთხოვთ გადასცეთ ჩემი სამძიმარი და თანაგრძნობა მის ოჯახს და ქართველ მეგობრებს.

ბელგიის პარლამენტის თავმჯდომარე:

**კამილ გიუსმანი**

---

მიღებულია აგრეთვე სამძიმრის დეპეშები და წერილები: სოციალისტური ინტერნაციონალისაგან — მდივანი ბრაუნტალი; ბელგიის, შვე-

ციის და დანიის სოც. დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ბიუროებისაგან; ლატვიის სოც-დემოკრატიული პარტიისაგან — მდივანი ბრუნო კალნინი; ესტონიის სოციალისტურ ასსოციაციისაგან — მდივანი მიკელსონი; სომხურ „დაშნაკცუტიუნ" პარტიისაგან — სამუელიანი; სომხურ გაზეთ „ჰარაჩ"-ის რედაქციისაგან — მისაკიანი; აზერბეიჯანელ სოციალისტებისაგან — შეიხული ისლამი; უკრაინელ სოციალისტურ პარტიისაგან — მდივანი პანას ფედენკო; საფრანგეთში არსებულ უკრაინულ სოციალისტური ორგანიზაციისაგან — თავმჯდომარე დომეენკო, მდივანი ბოჰდან ფედენკო; საფრანგეთში მყოფ უცხოელ სოციალისტური ორგანიზაციების (ბუნდოელების, სომხების, ქართველების, პოლონელების, უნგრელების, რუმინელების, ისპანელების, იტალიელების და ბერძნების) ფედერაციისაგან — მდივანი როხო; სპარსეთში მცხოვრებ ქართველებისაგან; მიუნხენის ქართველ სოც. დემოკრატების მონდობილობით კორძაიასაგან; ურთეთიში რამიშვილისაგან; ანტონ ყორყოლიანისაგან, ლადო არველაძისაგან, პეტრე ჩინელისაგან.

---

1. საქ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პარიზის კომიტეტის დავალებით — ბ-ნი ელ. პატარიძე.
2. თავისუფალ ქართველთა კავშირი — ბ-ნი ზურაბიშვილი.

ბ-ბი: განიკაშიძე, დათიკო, დიმიტრი ჯგუნია.

---

### ქართულ ეროვნულ ორგანიზაციას მიუნხენში

პატივცემულო ბატონებო!

თქვენი დიდი პრეზიდენტის ნ. ჟორდანიას გარდაცვალების შემდეგ მისი უდიდებულესობის მინისტრი გეგეჭკორის დაკარგვამ ქართველი ხალხი კვლავ დიდათ დააგლოვა.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ყველასაგან პატივცემული წარმომადგენლის ჩვენგან სამუდამოდ განშორების გამო, ჩემს გარდაუვალ მოვალეობად მიმაჩნია, ჩემი და ბავარიის მთავრობის სახელით გამოგიცხადოთ თქვენ, პატივცემულო ბატონებო ჩვენი უზომო გლოვა და სამძიმარი.

მთელი გერმანიის ხალხი, რომელიც მუდამ ალტაცებით თვალყურს ადევნებდა თქვენი ერის ბრძოლას თავისუფლებისათვის, თქვენთან ერთად განიცდის ამ გლოვას.

ღრმესი პატივისცემით თქვენი
**შტაინი** — შტატსსეკრეტარი.

---

**ოჯახის სახელზე**

1. ორგანიზაციები — სომხეთის რესპუბლიკის დელეგაცია — ბ-ნი სამუელიანი.
2. შეერთებული შტატების ქართველთა ასოციაცია — ბ-ნი ლ. დუმბაძე.
3. გერმანიის ქართველთა ასოციაცია — ბატონი გ. მალალაშვილი.
4. ბოლშევიკებისაგან განთავისუფლების ამერიკული კომიტეტი — ლ. ს. სტივენს.
5. ერ. განმათავისუფლებელი ლიგა — ბატ-ბი ალ. მანველიშვილი, ილ. ჯაბადარი.
6. ირაქის ქართველობა — ი. ბეგენავა, ქ. სასანია, გ. მოდებაძე.
7. ქუანლევენის ქართველობა.
8. ჩაგრულ ერთა პარიზის ბლოკი — მ. დოვგალი.
9. საქართველოს ინტერნაციონალური კომიტეტი — ბ-ნი ჟ. მარტენი.
10. ყაზახთა ეროვნული ცენტრი — ბ. კონოვალოვი.
11. სიმონ პეტლიურას სახელობის სამკითხველო პარიზში — ბ-ნი დოჩენკო.
12. გაზეთი „თავისუფალი უკრაინა".
13. რადიო-განთავისუფლების რედაქცია — ბ-ბი: არსენიძე, იმნაიშვილი, ურატაძე, ინასარიძე, კუჭუხიძე.
14. ქართველ მხედართა დარაზმულობა — ბ-ნი შ. მაღლაკელიძე.
15 აბონდანის ქართველობა.
16 ქართული ახალი თაობის დემოკრატიული ორგანიზაცია — ბ-ნი გ. წერეთელი.

პროფესორი ა ლ ბ ე რ ტ მ ა ლ შ ი, პროფესორი ფუნკ-ბრენტანო, ელჩი გაბრიელ რეშერანდი, ცნობილი მსახიობი-ქალი ედვიჟ ფეიერი, პარიზის ოპერის ბალეტის მეთაური სერგეი ლიფარი, პირველი მოცეკვავე ქალები ივეტ შოვირე და ნინა ვირუბოვა.

გ. ჯაყელი, რ. კელლი - ამერ. კომიტეტიდან, ნ. ლევიცკი, ის. პაჩ - ამერიკ. კომიტეტის რწმუნებული ევროპაში, გ. კობახიძე, ვ. ნავასარდიანი, ს. ტოროსიანი, გრ. ალექსინსკი, ქ-ნი ალის მიულიგაე, პარიზის მთავარი რაბინი, ექიმი და ქ-ნი აჩილდი, ქ-ნი ნარ. რატელო, ნ. და ე. სა-

რალ, ქ-ნი და ბ-ნი რობერ რიშარ, მ. ლარტიგან, ლ. ჟოდიდიო, ბ-ნი და ქ-ნი ანთაძე, ქ-ნი ელმი, ქ-ნი ივონ შერიო, ქ-ნი ვ. ერისთავი, ბ-ნი ალ. მათირიშვილი, ბ-ნი ს. საბნია, ქ-ნი იზ. ბოკერია, ბ-ნი ბაბანასყუი ოჯახით, ბ. ჯინჭარაძე, ბ-ნი კობახიძე, ბ-ნი გაწერელია, ბ-ნი კვიტაშვილი, ბ-ნი ჯ. დადიანი და ალ. სულხანიშვილი, ბ-ნი და ქ-ნი მ. დადიანი, ექ. კორძაია ჰამბურგიდან, ბ-ნი ივ. ანდრონიკაშვილი, ბ. ივ. და ალ. ნიკურაძეები, ბ. და ქ-ნი აკ. პაპავა, ბ-ნი ფირიდონოვი, ქ-ნი და ბ-ნი ვანდა და ვახტანგ აბაშიძე, პოლკ. ალ. ყიფიანი, ბ. დ. ჯაფარიძე, ბ. კ. ინასარიძე, ბ. ნანუაშვილი, ბ. მ. ტულუში, ქ. ვალია და დიკა, ბ. კ. ჩხენკელი, ბ. არ. გორელი, ბ. დ. ურატაძე, ბ. ი. რიუხაძე, ბ. ლ. შავიშვილი ოჯახით, ბ. შ. ქურციკიძე, ბ. ირ. ბაგრატიონი, ბ. გალ. ასათიანი ბატონი ტულუში ოჯახობით, ბატონი კ. იმედაძე, ქ-ნი და ბ-ნი და გ. ბერეკაშვილი, პროფესორი მ. წერეთელი, ბ. ს. გეგელაშვილი მეუღლით, ბ. ალ ჩხენკელი, ბ. ქუთათელაძე, ბ. კვიკვიძე, ბ. თ. კობიაშვილი, ბ. ალ. გამყრელიძე, ირაკლი მჭედლიშვილი, ელ. მაყაშვილი, ბ. ს. მაღალოვი, გენ. ყაზბეგი, ბ. გრ. ალშიბაია ოჯახით, ბ. დ. მუჯირი, ბ. ნ. თოდრია ოჯახით, ქ-ნი მ. დადიანი, ბ. დ. შალიკაშვილი, ექ. ან. ჟორჟოლიანი, ქ-ნი ელ. გამრეკელი, ბ. ს. კვიტაშვილი, ბ. ალ. კორძაია მეუღლით, ქ-ნი დაბ-ნი თვალიაშვილი, ბ-ნი კობალაძე მეუღლით, ბ. ვიქ. ცხაკაია, სიუზან, ეტიენ და ანტუან, ქ-ნი ტასო ბერიძე, ქ-ნი და ბ-ნი ციცა და კ. ალშიბაია, ბ. გრ. ბერიძე, ბ. ს. მენაღარი, ბ. ა. გუგუშვილი, ქ-ნი და ბ. ნინო და ვ. საყვარელიძე, კოტე, ნ. ოგანეზოვი ოჯახით, დ. გიორგობიანი, ი. ბაგდასარიანი, ალბერ მალში, ქ-ნი ვალანტენა სმიტი, ქ-ნი აჯემოვი, ვ. წილოსანი ქ-ნი ა. გლენი, რ. ელიგულაშვილი ოჯახით, პროფ. პ. ფუკ - ბრენტანო, ს. ბოგოიავლენსკი, ქ-ნი ბაბე, გ. რემბრან — სრულუფლებიანი ელჩი, ი. მალევსკი, ქ-ნი ი. ოლივე, სიმონიანი მეუღლით, მ. არსენჰანრი, ი. გუნია ოჯახით, ვ. ლიპარია მეუღლით, ქ-ნი დ. რაბინოვიჩ, ჟ. ბუდენი მეუღლით, ვ. გაბელაშვილი, იოსებ გობეჩია, ვასო წულაძე ოჯახით, საშა ტარასაშვილი ო ჯ ა ხ ი თ, შ. კალატოზიშვილი მეუღლით, ქ-ნი მ. სოლომონიკს, დ. ბერეკაშვილი ოჯახით, ს. შიფრინი მეუღლით, ექ. იაკობიშვილი მეუღლით, ქ-ნი ჟ. სკამკოჩაიშვილი, ქ-ნი ჟან ლარტიგი, ი. თაყაიშვილი ოჯახით, კ. ალაჯანიანი მეუღლით, ქ-ნი მ. ჰილან, ა. ელიგულაშვილი ოჯახით, ქ-ნი ნ. გრანტ, ექ. ა. სორია მეუღლით, ი. ბაგრატიონი, არ. გომართელი, პოლკ. კ. მდივანი, ექ. ჟან გერინო მეუღლით, ლ. ჟუაიე მეუღლით, ხ. მავიშვილი, ვაცაციშვილი, ჟაკლინ ხაბულიანი, ელ. ვაჩნაძე, გ. გაბლიანი ოჯახით, ნ. ციცქიშვილი, თამარ კობიაშვილი, დ. ჩხატარაშვილი მეუღლით, გ. ნაკაშიძე, კლებერ პიზარო მეუღლით, ქ-ნი მარ. რები, ქ-ნი ელ. ყაუხჩიშვილი და ქ-ნი ე. დადიანი.

---

**ქართველი ახალგაზრდის წერილიდან**

**...მისი განუშორებელი ხსოვნით შევეცდებით დავრჩეთ იმ ნდობის ღირსი, რომელსაც ის ატარებდა ქართველი ახალგაზრდობის მიმართ. მას ყველაფერი გააჩნდა, რაც ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელია და ჩვენც იმ ფიქრებით უნდა ვ ი ნ უ გ ე შ ო თ თ ა ვ ი, რომ მას არ დაურჩა მოხუცების დროსაცი, ამ მოსაზრებით უნდა ვიგლოვოთ მასზე. მხოლოდ მისი ლეგენდარული სახის მოგონება შეგვარიგებს მისი დაკარგვის ფაქტთან.**

**გ. შარაშიძე**

---

**უცხო ახალგაზრდის განცდა.**

როგორც ახალგაზრდას, რომელსაც პოლიტიკა აინტერესებს მე ის მიყვარდა იმდენად რამდენადაც პატივს ვსცემდი. რამდენი მოღვაწეა ჩვენს ეპოქაში პრინციპებს რომ აყალიბებს! თუ თავისუფალი მსოფლიო დღეს საფრთხეშია, ეს არა იმიტომ, რომ კომუნისტები უფრო ძლიერნი არიან, არამედ იმიტომ, რომ არ აღმოგვაჩნდა მოღვაწეები, ხელმძღვანელები გაბედული და ბრძნული მოქმედებისათვის. თქვენ ქმარს ეს თვისებები მოეპოვებოდა. ამას გარდა ის იყო პრინციპის კაცი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ერთ დღეს კომუნისტური კოშმარი მოისპობა და თქვენი ქვეყანა აღადგენს თავისუფლებას, რომლისათვის ბ. გეგეჭკორი მთელი თავისი სიცოცხლე იბრძოდა და მადლიერი საქართველო ღირსეულ ადგილს მიუჩენს მას თავის ისტორიაში.

**რობერ დონ ლევინი.**

---

გვირგვინი და თაიგულები:

1. განსვენებულის ოჯახისაგან. 2. საქართველოს ეროვნულ მთავრობის წევრებისაგან. 3. ამერიკულ კომიტეტისაგან. 4. სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციისაგან. 5. აზერბეიჯანის ეროვნულ საბჭოსაგან. 6. ქართულ ეროვნულ საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ა ს ა ფ ლ ა ვ ე ბ ა

ნაშუადღევის პირველ საათიდანვე მიცვალებულის ბინაზე ნელ-ნელა თავს იყრის ქართველობა. თვითეული თვალცრემლიანი, დაღვრემილი მქვრივ ევგენის სამუშაო ოთახში და ცხედრის წინაშე თავს იხრის. ოთახი სავსეა ცოცხალი ყვავილებისაგან შეკრული გვირგვინებით. ოჯახიდან, ეროვნულ მთავრობის წევრებისაგან, ეროვნული საბჭოს ალმ. კომიტეტისაგან, ყველა პოლიტიკური პარტიებიდგან და ჯგუფებიდან ცალ-ცალკე, მეზობლებიდან, მეგობრებიდან, ამერიკული კომიტეტიდან... კუბოს ახვევია ვარდყვავილების თაიგულები, თითქოს ბუნების სილაღეში ჩაწოლილა მებრძოლი - მეთაური და იქიდან ყველას სთხოვს დაწყნარდენ, ცრემლები შეიკავონ, მაგრამ მისი თხოვნა რჩება შეუწყნარებელი. მის განშორებას შეურიგებელი გული მოსთქვამს და სტირის.

მისი ერთგული თანამგზავრის ქ-ნ ოლიას გულიდან ამონახეთქი აკვნესებს დამსწრეთ, მისი საყვარელი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს, მისი მოთაყვანე ს ი ძ ე ე ბ ი ს და შვილის - შვილების ქვითინი გადადის მეგობრებზე, რომლებიც თავჩაქინდრული მოსთქვამენ. ბევრმა მათგანმა, ხომ მთელი კვირის განმავლობაში უძილო ღამეები გაატარეს ძვირფას ცხედართან...

მოდიან ჩვენი მეზობლები, მეგობარი ფრანგები, აიაზმას აპკურებენ, ნუგეშს იძლევიან... ჩამოსულია საგანგებოთ ამერიკულ კომიტეტის წარმომადგენელი ბ-ნი პ ე ჩ ი. შვილის - შვილების რუსუდანას და ნანოს განუწყვეტელ - გულშემზარავ ტირილმა დღეების განმავლობაში ყველას გული დასერა... აი გაისმა კუბოზე მიყრდნობილ რუსუდანის ხმა: „ბაბუ სად მიდიხარ“... „ბაბუ“ ქვითინებს პატარა ნანო. მშობლიური სიყვარულისგან აღგზნებული გრძნობის ტალღებში ვარდებით. დამსწრეთა ლოყებს ცრემლთა წვეთები ასველებს; ოთახში მყოფნი თითქოს ერთ არსებათ გადაქცეულან; მათი აზრები, ფიქრები, სულიერი სწრაფვა საყვარელ ადამიანის პიროვნებასთან გადასკვნილა და შეერთებულა. კუბოს თავს დაჰყურებს, ჩის ერთგულთაგან შემდგარი საპატიო დარაჯები, თავში სდგანან ორი ახალგაზრდა (ძმები კობახიძენი) ჩოხებში მოკაზმულნი, სამფეროვან დროშებით ხელში. მამა ილია მცირე სიტყვით მიმართავს დამსწრეთ და იწყება პანაშვიდი. გალობს გუნდი ბ-ნ დ. კლდიაშვილის ხელმძღვანელობით. ყველა ცდილობს ქვითინიდან თავი შეიკავოს, პანაშვიდის მსვლელობის დროს სიმშვიდე დაიცვას... „საუკუნოთ იყოს ხსენება მისი-ს“ ხმაზე დროშები ნელ-ნელა იზნიქებიან და კუბოს ორივე მხრიდან ერტყმიან... იწყება გამოსვენება.

ევგენი სამუდამოდ ეთხოვება თავის სამუშაო ოთახს, სადაც უკანასკნელ წლებში განუწყვეტელ შრომაში გაატარა დრო. მხრებზე გადებული ცხედარი ნელ-ნელა გამოდის, კარებში სამფეროვანი დროშები კვლავ იკეცებიან. უმოწყალო შავი ავტო იქვე სდგას, რომ ჩვენი ძვირფასი ევგენი გააქანოს სამუდამოთ განსასვენებელ ადგილის.

მიჰქრიან ავტოები სოფ. ლევილისაკენ, მიაქვთ ჩვენი გული, გაქვავებული სხედან ყველანი თა-

---

ჭოსაგან. 7. ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიისაგან. 8. საქართველოს სოც. დემ. პარტიის ორგანიზაციებიდან. 9. „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციისაგან. 10 ქართული ახალი თაობის დემოკრატიული ორგანიზაციისაგან. 11. საფრანგეთის ქართულ სათვისტომოსაგან. 12. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის აღდგენის ამერიკული საბჭოსაგან. 13. ირანის ქართველობისგან. 14. სოშოს ქართველთა საზოგადოებისაგან. 15. რადიო „განთავისუფლების“ ქართული რადაქცი.ა 16. ლევილის და სენ-ჟერმენის ქართველობისაგან. 17. ყოფილ სახალხო გვარდიელებისაგან. 18. ქართველ ტუბერკულიოზით დამხმარე საზოგადოებისაგან. 19. ქართველ მანდილოსანთა საზოგადოებისაგან. 20. ბ-ნ გრიგოლ ალშიბაიასაგან. 21. ქ-ე ლიუბა და ბ-ნ შ. აბდუშელისაგან. 22. ბ-ნ მეგილევსკისაგან.

თაიგულები: ქ-ნ მ. სოლომონიკისგან, ქ-ნ გ. ჰაიულანდისაგან, ქ-ნ და ბ-ნ სიმონიანცისაგან. გან, ქ-ნ ლარტიგოსაგან, ქ-ნ ლედანტიუსაგან, ექიმ იაკობიშვილისაგან, ქ-ნ სკამკოჩაიშვილისა- ქ-ნ და ბ-ნ აგადჯანიანისაგან, ბ-ნ ილია თაყაიშვილის ოჯახისაგან, ბ-ნ ა. ცილიგულაშვილის ოჯახისაგან, ქ-ნ გრანტისაგან, ბ-ნ ვ. წულაძის ოჯახისაგან, და კიდევ მრავალ უცხოელ მეგობრებ - ნაცნობებისაგან, რომელთა გვარებს აქ ვერ ვიხსენიებთ უადგილობის გამო.

ვიანთ ადგილებზე, ვერც ერთს სანუგეშო სიტყვა ვერ მოუნახავს.

მივედით „შატოს" კარებთან. ყველანი ჩამოდიან ავტოებიდან. გვირგვინებს ხელში იკავებენ ბავშვები და ორგანიზაციების წარმომადგენლები. სამფეროვანი დროშებით წინ-ეწყობა პროცესია, რომელსაც ხელმძღვანელობს დამკრძალავი კომისია. გზა და გზა გალობს გუნდი. ადგილობრივი მცხოვრებნი გარედ გამოფენილან, გრანდიოზული სურათით განცვიფრებული შესცქერიან მხრებზე გადებულ ცხედარს სამფეროვან დროშაში გახვეულს. გვსურს გზა ვაგრძელდეს, რაც შეიძლება დიდ ხანს ვატაროთ ჩვენს მხრებზე ადამიანი, რომლის მხრებმა ნახევარ-საუკუნის მანძილზე საამაყოთ ატარა და დაიცვა ქართველი ერის უფლება... გუგუნებს ხმა მგალობელთა. ამ დღეებში ჩვეული წვიმებიდანაც თავი შეუკავებია ბუნებას, მკრთალი მაგრამ თბილი სხივები მზისა, მანათობელ ლამპარიათ თავს დაგვცქერის, გრილი სიო ნელა არხევს განაპირად პატარა ბუჩქებს, თითქოს დიდ ადამიანს მოკრძალებით სალამს უძღვნიდეს და გზას ულოცავდეს. სასაფლაოვის გაღებულ კარებში შედის და მიეშურება დანიშნულ ადგილას რომ იქ შეუერთდეს თავის თანამებრძოლ მეგობრებს, რომელთაც ბედმა არგუნა მასზე ადრე უცხო მიწაში განსვენება. მიწაზე დაშვებულ ცხედარს გარს ერტყმიან მრავალრიცხოვანი საზოგადოება. მამა ილიას უკანასკნელ სალოცავ სიტყვებს თან მოჰყვება მძლავრი ხმები გუნდისა, რის შემდეგ სიჩუმეს ოდნავ არღვევს ყრუ ქვითინი. ამ დროს წინ წარსდგება ეროვნულ მთავრობის წევრი, ევგენის უახლოესი მეგობარი, მისი თანამგზავრი და თანამებრძოლი ბ-ნი კ. კანდელაკი, რომელიც ცდილობს აღელვებისგან თავის შეკავებას, მოწყლვავებულ გრძნობის დაძლევას. ყველა მისჩერებია მის დინჯ სახეს. ევგენის წარსული ცხოვრების მოგონებით ჩვენს თვალ წინ გაირბენს ქართველი ერის უახლოესი ისტორიული ჟამის დიდი მოვლენები, გადატანილი ბრძოლის ეპიზოდები, განთავისუფლებულ ერის ბრწყინვალე დღეები, დამარცხების შემდეგ კვლავ თავისუფლების აღდგენისთვის წარმოებული ბრძოლები. ბ. კ. კანდელაკის უკანასკნელი სიტყვები, რომ „დარჩენილი ძალები სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გააგრძელებენ შენ წარმოებულ საქმესო" — მალამოდ ედება დამსწრეთა დანაღვლიანებულ გულს.

წაკითხულ იქმნა უცხოელთაგან გამოგზავნილი ნაწილი სამგლოვიარო დეპეშებისა და წერილებისა. ბოლოს, მოკლე, მაგრამ მგრძნობიარე სიტყვაში ბ-ნი ნ. ცინცაძე მიმართავს ქ-ნ ოლიას, ამხნევებს მას, მადლობას უხდის უცხო საზოგადოებას, მეზობლებს, მეგობრებს, იმედს გამოსთქვამს, რომ ევგენის ხელმძღვანელობით წარმოებული ბრძოლა გაგრძელებული იქნება. ცხედარი ნელ-ნელა უახლოვდება პირდაღებულ სამარეს. გუნდი გალობს „დიდებას".

დგება ჟამი უზენაესი განშორებისა, სამუდამოდ გამოთხოვებისა. კუბო ეშვება ქვევით. ქ-ნ ოლიას მწარე სიტყვებს ფარავს რუსუდანის გულშემზარავი ხმა „ბაბუ ვერ გაგიშვებ, ბაბუ ნუ დაგვტოვებ"... საფლავში ჩაუყარა ერთი პეშვი სამშობლოს მიწა და კვნესით მიაყოლა: „აჰა, ამისთვის იბრძოდი და წაიღე თან"-ო. პატარა ნანო იქვე დაჩოქილი მაღლიდან დაჰყურებს ცხედარს, მისი მხურვალე ცრემლები თითქოს აიაზმათ ეპკურება მის საყვარელ ბაბუს და გულს უწყლულებს, სტირის ქართველობა, რომელმაც დაჰკარგა მზრუნველი... შორს, სამშობლოში ჩუმად ამოიოხრებს და ცრემლებს დაღვრის ქართველი, დღეს მტარვალთაგან შევიწროებული. გაივლიან დღენი, უფრო მეტი სიმწვავით იგრძნობენ მეთაურის დაკარგვას მისი ახლობელი თანამშრომლები, დღეს რუსეთის იმპერიაში მოქცეული ერების მებრძოლი რაზმები. ბევრი, ბევრი ჩვენთაგანი ველარ გაიგონებს თავის სულიერ მამის სიტყვებს: „შვილო როგორ ხარ, ხომ რაიმეში არ გჭირდება ჩემი დახმარება"...

დამსწრე საზოგადოება ნელ-ნელა შორდება ქართველი ერის საამაყო შვილის საფლავს გულდაწყვეტილი, დამწუხრებული. პ. ს.

---

ევგენი გეგეჭკორის გარდაცვალების პირველ დღესვე შეიკრიბენ მთავრობის წევრები, ქართული ეროვნულ საბჭოს და სხვა ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები განსვენებულისათვის ეროვნულ დაკრძალვის მოსაწყობად. არჩეულ იქმნა დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ბ.ბ. კ. კანდელაკი, ნ. ცინცაძე, კ. გვარჯალაძე, შ. აბდუშელი, კ. სალია, თ. ანთაძე, შ. კალანდაძე და ლ. ფაღავა.

დაკრძალვის დღეს განსვენებულის ბინას მოაწყდა დიდძალი საზოგადოება გვირგვინებით და თაიგულებით.

თანახმად დამკრძალავი კომისიის დადგენილებისა წარმოთქმულ იქნა მხოლოდ ერთი სიტყვა მთავრობის წევრის ბ-ნ კონსტანტინე კანდელაკის მიერ, სამადლობელი სიტყვით საზოგადოებას მიმართა ნ. ცინცაძემ.

---

ქ-ნი **ოლღა გეგეჭკორისა, მთელი თავის ოჯახობით,** უღრმეს მადლობას უძღვნის ყველა იმ პირთ, ვინც გაიზიარა მათი მწუხარება და პატივი სცა ევგენი გეგეჭკორის ხსოვნას პირადი დასწრებით თუ წერილობით.

---

18 ივლისს, ქართულ ეკლესიაში პირველი საათის ნახევარზე, გადახდილ იქნება პანაშვიდი ევ. გეგეჭკორის ხსოვნის აღსანიშნავად. ხუთ საათზე — ლევილში სასაფლაოზე.

---

სხვადასხვა ქვეყნებში გამართული სამგლოვიარო კრებების ანგარიში უადგილობის გამო ცადაიდო შემდეგი ნომრისათვის. რედ.

# ვალოდია გოგუაძე

ნათქვამია: ზოგი მკვდრები უფრო ცოცხლობენ, ვიდრე ბევრი ცოცხლები, რადგან ამათი ხსოვნა ჟამთა ულევ დენაში დავიწყებას არ ემძლევიანო. სწორედ ასეთ მკვდართა რიცხვს ეკუთვნის ახლად გარდაცვლილი ვალოდია გოგუაძე.

სიკვდილი საზოგადოთ მწარეა, მაგრამ უმწარესია იგი უცხოეთში და ისიც დევნილობაში. ბევრი მეგობარი და თანამებრძოლი გაუძღვა ვალოდიას წინ სასაფლაოსაკენ, ბევრი ალბათ კიდევ მალე მიჰყვება; ერთი უდიდესი მეგობარი და პატივისმცემელი ევ. გეგეჭკორი სწორედ წინა დღით წარემგზავრა. მძიმე, მეტად მძიმეა ორ დღეში ორი ასეთი პიროვნების განშორება. ასეთი დანაკლისი არამც თუ ჩვენს პატარა ქვეყანას, დიდ ქვეყნებსაც კი დააზიანებდა, მაგრამ რა უნდა ვქნათ. „ჭირსა შიგან გვმართებს გამაგრება ვით ქვითკირისა."

ვალოდია გოგუაძე ლეგენდარული პიროვნება იყო, როგორც იტყვიან. საკვირველია, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისმა, ამ პროზაიკულმა და მეშჩანურმა ეპოქამ მოგვცა პიროვნება, რომელიც თითქოს აღებულია ძველი საბერძნეთის გმირული პათოსით გაჟღენთილ ეპოქიდან. როცა გაეცნობით ვალოდიას ცხოვრებას, ძალაუნებურად დაგიდგებათ თვალწინ ძველი ანტიური გმირთა გალერეა. და ვალოდიას შეუძლია ყველა ამ განთქმულ გმირებს გაუსწოროს თვალი და როგორც თანასწორი და გმირული ექსტაზით ნათესავებს მეგობრულად მიესალმოს.

ვალოდიამ თავისი ვაჟკაცობით და თავდადებით უკვდავებით შემოსა თავისი სახელი. მაგარი და უშიშარი, მტკიცე და უდრეკი, იგი იღებდა ყველა ისეთ დავალებებს, სადაც მისი სიცოცხლე „ბეწვზე ეკიდა". მაგრამ მან არ იცოდა უკან დახევა და არც ყოფილა შემთხვევა მას დავალება არ მიეღოს და უკან დაეხიოს, რა გინდ ძნელი და საშიშარი არ ყოფილიყო ის.

არა ჩვეულებრივია ამ საინტერესო პიროვნე-



ვალოდია გოგუაძე

ბის ბიოგრაფიაც. დაიბადა იგი 1880 წელს სოფ. ჭანჭათში (გურიაში) ღარიბი გლეხის ოჯახში. მის დედ-მამას 11 შვილი ჰყავდა, რომელთაგან ოთხი ყვავილმა იმსხვერპლა. დარჩა ხუთი ვაჟი

და ორი ქალი. სიღარიბის გამო ამოდენა ოჯახის მთელი შინაგანი სიმძიმე თავს აწვა მარტო დედას. მამა მისი, საბა, იყო მშვენიერი შესახედავი, ახოვანი, საუკეთესო მომღერალი, ხან და ხან მოქეიფე და იშვიათი თამადა.

სწავლა - განათლება ვალოდიამ მიიღო სოფლის სკოლაში, სადაც დაჰყო სამი წელიწადი. რადგან სიღარიბის გამო სწავლის გაგრძელება მისთვის შეუძლებელი იყო, ის შევიდა მუშათ ბათუმის ქარხანაში. აქ დაჰყო 18 წლამდე და შემდეგ, უმუშევრობის გამო, დაბრუნდა თავის ოჯახში, სადაც დარჩა 20 წლამდე, როცა ის წაიყვანეს სალდათად და გაგზავნეს ქალაქ ოდესაში. მიუხედავად იმისა, რომ მას მხოლოდ სოფლის სკოლა ჰქონდა დათავებული, აქ, ჯარში, იგი ძალიან დაწინაურდა; იმდენად შეისწავლა რუსული ენა და სამხედრო ვარჯიშობა, რომ მეორე წელიწადს უკვე უნტერ-ოფიცრის ხარისხი მიიღო. ეს იმ დროს ქართველისათვის რუსის ჯარში დიდი წარჩინება იყო. 1911 წელს მისი პოლკი ზღვით მანჯურიაში გაგზავნეს. მოგზაურობამ, სხვა და სხვა ქვეყნების ნახვამ და მათი ყოფა - ცხოვრების გაცნობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა ნიჭიერ და დაკვირვებულ ვალოდიაზე და მისი ცნობიერების განვითარებაზე ძლიერი გავლენა იქონია. ეს იყო ჩემი უნივერსიტეტი - იტყოდა ხშირად ვალოდია. პოლკი ერთი წლის შემდეგ ისევ იმავე გზით ოდესაში დააბრუნეს. აქ ამ დროს მოხდა მუშათა დიდი გაფიცვები და ვალოდია თავის ჯართან ერთად გაფიცულების წინააღმდეგ გამოიყვანეს და თოფის სროლა უბრძანეს. ჯარმა სროლაზე უარი განაცხადა, რისთვისაც ყველანი ერთი თვით ყაზარმებში ჩაკეტეს. სალდათობის გათავების შემდეგ ვალოდია დაჯილდოებული ჯარისკაცის ოთხი ჯვარით ბრუნდება თავის ოჯახში. აქედან მიდის თბილისში და შედის რკინის გზის სასწავლებელში. სამ თვეში აბარებს გამოცდებს კონდუქტორობაზე და ნიშნავენ ბაქოში საბარგო მატარებელზე.

ამ დროს საერთოდ რუსეთში, და კერძოდ ამიერ კავკასიაში, დიდი რევოლ. მოძრაობა იყო. ამ მოძრაობას იგი ნაკლებად იცნობდა, მაგრამ მისმა ნიჭმა და ჯარში ყოფნის დრომ გამოცდილებამ, ძალიან გაუადვილა იმის შეგნება თუ რაც ხდებოდა და კიდევაც შევიდა ბაქოს რკინის გზის სოც. დემოკრატიულ ორგანიზაციაში. პირველ ხანებში მას ჰქონდა დაკისრებული არალეგალური ლიტერატურის გადატან - გადმოტანა ბაქო - თბილისს შუა. შემდეგ როცა მოძრაობა გაიზარდა, გახშირდა დემონსტრაციები და პოლიციასთან შეტაკებანი, სოც. დემ. ორგანიზაციასთან დაარსდა ე. წ. „მეომარი ლაშქარი“ და ვალოდია გახდა რკინის გზის შეიარაღებული რაზმის უფროსი.

რაზმი თან და თან გაიზარდა, საუცხოვოდ შეიარაღდა და მისი აქტივობა საერთო ყურადღებას იქცევდა. რაზმის სახელმძღვანელოდ სოციალ დემ. ორგანიზაციამ შექმნა სამხედრო შტაბი ხუთი პირისაგან: პოლიტ. ხელმძღვანელი —ისიდორე რამიშვილი და ანდრია ვიშინსკი (იმ დროს მენშევიკი, ახლა კომუნისტების წარმომადგენელი ონიუსში), ტეხნიკური — საგატელოვი, ფინანსების—ივ. კარჩევსკი და სამხედრო— ვალ. გოგუაძე. შტაბი ემორჩილებოდა ბაქოს ს. დ. ორგანიზაციას, ხოლო ყველა რაზმები შტაბს.

სანეკროლოგო წერილში შეუძლებელია აღნიშვნა ამ რაზმის და მისი მეთაურის ვალოდიას ყველა გმირული აქტების. სანიმუშოდ მოვიყვანთ ერთ-ერთს. ორგანიზაციას დასჭირდა ყუმბარები, მარა სად უნდა ეშოვა, ან როგორ უნდა დაემზადებინა! ამის მოწყობა თავს იდვა ვალოდიამ. 1906 წელს, თებერვალში, მან 30 რაზმელით, ჩვეულებრივი მუშაობის გათავების შემდეგ, ალყა შემოარტყა ქარხანა — „პრომეთეს“, დააპატიმრა ქარხ. მთელი ადმინისტრაცია და პატრონი. შიგ მომუშავე პარტიული მუშების დახმარებით აამუშავეს მანქანები და სპეციალისტები შეუდგენ მუშაობას. დაამზადეს 70 ფუთამდე ყუმბარები, სხვა და სხვა წონის, რომლის ყალიბი თვით ქარხანას ქონდა. (ის მუშაობდა სამხედრო უწყებისათვის). მუშაობა დასრულდა გათენებისას და დამზადებული ყუმბარები გადატანილ იქმნა საიმედო ბინაზე. მთელი პოლიცია ფეხზე დადგა, მარა მათ კვალს ვერსად მიაგნეს. ასეთი „სამხედრო აქტებით“ სავსეა ამ რაზმის და მისი მეთაურის მოქმედება და რა გასაკვირია თუ მთავრობა ყოველ ზომას იღებდა ვალოდიას დასაჭერად, მაგრამ ამაოთ. იმავე წლის ზაფხულში შესდგა სამხედრო სასამართლო, რომელმაც ვალოდია, მისდა დაუსწრებლად, კანონის გარეშე გამოაცხადა, დააწესა ჯილდოთ 5000 მან. ვინც მოკლავდა, ხოლო 10.000 მან. ვინც ცოცხლად დაიჭერდა.

ვალოდიას დაუწყეს სასტიკი დევნა, მარა იგი მაინც განაგრძობდა ბაქოში ცხოვრებას, ახდენდა ტერორისტულ აქტებს, სდევნიდა შანტაჟის-

ტებს რომლებიც სხვა და სხვა ორგანიზაციების სახელით სძარცვავდენ მდიდრებს, გამოჰქონდა მაშინები და ასოები არალეგალური სტამბისათვის და სხვ. და როცა შეუძლებელი შეიქმნა მისი ბაქოში დარჩენა — ორგანიზაციის რჩევით ის სტოვებს ბაქოს და მიდის გურიაში.

გურიაში მისი ბაქოს თავ-გადასავალი თითქმის არავინ იცოდა. მარა იგი მაინც ფრთხილად იყო. იარაღს არ იშორებდა, ღამეს ტყეში ათევდა, დღისით კი მუშაობდა მამის მიწაზე — რგავდა ხეხილს, მანდარინს და ჩაის ბუჩქებს. ეს „მშვიდობიანი“ ცხოვრება დიდ ხანს არ გაგრძელებულა. ერთ დღეს მას თავს დაესხა ადგილობრივი პოლიცია და რადგან ის ვერ ნახეს, დაიჭირეს მამა მისი, თუმცა მალე გაანთავისუფლეს. ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაესხენ თავს და ახლაც იგივე ისტორია. ვალოდია დარწმუნდა რომ მის შესახებ ყველაფერი იცის პოლიციამ და რომ მას აწი აღარ მოასვენებენ. გადასწყვიტა გამხდარიყო სრულიად არალეგალური და დამდგარიყო გურიის კომიტეტის განკარგულებაში. და კიდევაც ასე მოიქცა.

მრავალფეროვანი იყო ვალოდიას მოღვაწეობა გურიაში. იგი ამხანაგ სერგო მათითაშვილთან და თეოფილე წულაშვილთან ერთად იცავდენ მთელ გურიას ყოველგვარი თავდასხმებისაგან, ადმინისტრაცია იქნებოდა თუ ყაჩაღები, რომელთა რიცხვი იმ დროს მეტად ბევრი იყო გურიაში სხვა და სხვა ადგილებიდან შემოხიზნული. ყაჩაღების დევნამ ვალოდიას ბევრი მტერი გაუჩინა და ერთმა ჯგუფმა კიდევაც იძია შური, ჩაუსაფრდა გზაში და თოფები დაუშინეს. ერთი ტყვია მარცხენა ფეხის მუხლის თავში მოხვდა და სულ დაუმსხვრია. ყაჩაღებმა ისარგებლეს ამით და გაიქცენ. დაჭრილი ვალოდია ამხანაგებმა საკაცეთი საიმედო ბინაზე მოათავსეს და პირველი საექ. დახმარება აღმოუჩინეს. პოლიციამ მალე გაიგო მისი ბინა მაგრამ იგი სასწრაფოდ სხვა ბინაზე იქმნა გადაყვანილი. შესაფერი ექიმის მოყვანა შეუძლებელი შეიქნა, ამიტომ მთელი ექიმობა „სოფლის ექიმბაშების“ ხელში გადავიდა. გალესილი უბრალო დანით ჭრილობის გაჭრა ჩამტვრეული ძვლების ამოსაკრეფად, გახურებული შანთით მუხლის თვალის გახვრეტა და სხვა ასეთი ოპერაციები თვეები გრძელდებოდა და თან ერთი სოფლიდან მეორეში გადაყვან - გადმოყვანა. დამსახურებული მსჯავრის ასაცილებლად ყაჩაღები შეუერთდენ პოლიციას და ორივესგან მისი დაცვა თავს იდო ზაზავის სოც. დემ. ორგანიზაციამ, რომლის რაიონში ის იწვა და კიდევაც დაიცვა.

1917 წელს მოხდა დიდი რევოლიუცია და ვალოდიას საშუალება მიეცა ჩასულიყო თბილისში ოპერაციის გასაკეთებლად. ოპერაცია გაუკეთა ცნობილმა ქირურგმა მუხაძემ ორჯერ, ამოიღო მრავლად ჩარჩენილი ძვლები, ფეხი მორჩა, მაგრამ დარჩა მოხრილი და ცოტათი დამოკლებული. ამ ხანებში თბილისში დაარსდა თავდაცვის კომიტეტი ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით. გაძლიერებული ანარქიის საწინააღმდეგოდ კომიტეტმა დაადგინა შეიარაღებული რაზმის შექმნა, რომლის ხელმძღვანელად პირდაპირ საავადმყოფოდან მოიყვანეს ვალოდია.

ვალოდია თავის ყავარჯენით ენერგიულად შეუდგა მუშაობას. რაზმის უმეტესობა იყვნენ მუშები. საჭირო იარაღის შესაძენად მუშ. საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა არსენალის ძალით აღება და 1917 წ. 11 დეკემბერს, საღამოს, ეს პატარა რაზმი, ვალოდიას მეთაურობით არსენალის ასაღებათ გაემართა. 12 დეკემბერს, გათენებისას, იგი კიდევაც იქნა აღებული.

როცა უზარმაზარი რუსეთის იმპერიის სივრცე ბოლშევიკების მიერ შექმნილმა ანარქიამ მოიცვა — საქართველო თავისუფლების ერთად ერთი ოაზისი იყო და მას ყოველი მხრიდან წალეკით ემუქრებოდენ. ვალოდიამ ხელთ იგდო ერთი ჯავშნოსანი, მეორე მის მიერვე შეკეთებული მიუმატა და ქვეყნის სადარაჯოზე დადგა. თავის მატარებლით და ერთგული თანამშრომლებით, რომელთა შორის სამი მისი ძმა იყო — იგი დაქროდა ერთი საშიში პუნქტიდან მეორეში, სწმენდდა და ანთავისუფლებდა გზებს მუსულმანთა ბრბოებისაგან, წინ ეღობებოდა გახულიგანებულ და გაბოლშევიკებულ რუსის ჯარის ნაწილებს, რომლებიც ბოლშევიკებისაგან წაქეზებით, კავკასიის დაშლილი ფრონტიდან თბილისისაკენ ასაკლებად რომ მოიწევდენ. ვალოდია მიუძღოდა მათ თავის ჯავშნოსანით, აცილებდა საშვიდობოს და ასე რევ. ორგანოებს მშვიდობიანი მუშაობის საშუალებას უქმნიდა. მისი დამსახურება ამ მხრით იმდენად დიდი იყო, რომ ამიერ-კავკასიის სეიმმა, კომისარიატის თავმჯდომარე ევ. გეგეჭკორის წინადადებით იგი ერთხმად დააჯილდოვა „რევოლიუციის პირველი მეომარის“ სახელწოდებით.

როცა საქართველოს თურქები შემოესია და ბათუმი და მისი მიდამოები დაიკავა, ვალოდია სრულიად მოულოდნელად, შეიჭრა მათ ბანაკში ჩ ო ლ ო ქ ი ს პ ი რ ა დ. პატარა რაზმმა მტერს მუსრი გაავლო და მცირე ზარალით უკან გამობრუნებაც შესძლო. ამ ბრძოლით მან ერთი მაგალითით კიდევ ზედმეტად გაამდიდრა ქართველი ხალხის, ისედაც მდიდარი, ბრწყინვალე და ლეგენდარული ბრძოლებით აღსავსე ისტორია. ძველი საქართველოს ბრძოლის ტრადიცია — თავის ქვეყნისათვის თავის განწირვა — ჩოლოქის ბრძოლამ სავსებით აღადგინა და ვალოდია შევიდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, როგორც დიდი მეომარი ისტორიულ მეომართა შორის.

როდესაც რევოლიუციას იერიშები მიჰქონდა თვითმპყრობელობაზე — ვალოდია რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში იდგა და მასთან ერთად იბრძოდა. როცა რეჟიმი დაეცა და საქართველოს გზა გაეხსნა დამოუკიდებელი არსებობისათვის — იგი თავის სამშობლოს, თავის ხალხის თავისუფლებისა და პატივის დასაცავად ისეთივე რევ. გატაცებით და თავგანწირვით იბრძვის, როგორც მეფის წინააღმდეგ. ეს იყო არა სხვა და სხვა ბრძოლა, არამედ სხვა და სხვა სახე ერთი და იმავე იდეალისა: **ბრძოლა ხალხის და ერის თავისუფლებისათვის.**

ვალოდიას ძალიან ეხერხებოდა საჯარო სიტყვის წარმოთქმაც. სტილი მისი სიტყვისა იყო უბრალო, სადა და მარტივი, მოკლებული ყოველგვარ რიტორიკას, მაგრამ გაჟღენთილი გრძნობით, ენერგიით, მჭრელი სიტყვებით, ლაპიდარული ფრაზებით. არავითარი ფსევდორევოლიუციონური და პსევდოპატრიოტული ლექსიკონი. ლაპარაკობდა ისე, როგორც იბრძოდა. ხან და ხან სწერდა ლექსებსაც, რომლის თემა მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლის სხვა და სხვა ეპიზოდები იყო. მისი ლექსები მოწმობენ, რომ იგი არ იყო მოკლებული არც პოეტურ ნიჭს.

ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ ვალოდია ემიგრაციაში მოხვდა. აქ მან თავის სანიმუშო ცხოვრებით, მის მეუღლე ნამეტისთან ერთად, შექმნა მშვენიერი ოჯახი, სადაც არა ერთ ქართველს მიუღია მშობლიური სითბო და კმაყოფილება.

იქ, საქართველოში, მისი ოჯახი სრულიად გაანადგურეს; უფროსმა ძმამ, აუტანელი შევიწროების გამო, თავი ჩამოიხრჩო, მეორე ძმა, ცნობილი ალფესი, ტყეში მოკლეს, მესამე ძმა მოკვდა გადასახლებაში, მეოთხეს ბედი დღესაც არავინ იცის. მისი სახლ-კარი დაარღვიეს და ფიცარ-ფიცრად გაინაწილეს შურის საძიებლად. ხეხილით გაშენებული ეზო გაჩეხეს და დასტოვეს მხოლოდ ჩაის ეზო, რომელსაც დაარქვეს „პიონერი", თითქოს მათი გაშენებული იყოს.

ერთხელ, როცა პარიზში ვიშინსკი ჩამოვიდა, მოიწადინა ვალოდიას ნახვა. როგორც ვსთქვით ზევით ის იყო მისი შტაბის წევრი და ძალიან უყვარდა ვალოდია მთელ მის ოჯახს. როცა ვალოდიას ვიშინსკის სურვილი გადასცეს, მან სიამაყით შეუთვალა: „ხალხის მოღალატეებთან სალაპარაკოთ მე მხოლოდ ტყვია მაქვსო."

შეუძლებელია პატარა წერილში აღწერა იმ სამსახურისა, რომელიც ვალ. გოგუაძემ თავის ქვეყანას გაუწია. იმის თქმა კი გადაჭრით შეიძლება, რომ თუ ვინმეზე ითქმის ფრანგების სიტყვები: მან დიდად დაიმსახურა სამშობლოს წინაშეო — ერთი ამათგანია ვალ. გოგუაძეც და დარწმუნებული ვართ მისი სამშობლოც მას ამით დააჯილდოვებს...

**გრ. ურატაძე**

**P. S.** ვალოდია დაასაფლავეს ძმათა სასაფლაოზე ლევილში. დასაფლავებას დაესწრო დიდ-ძალი საზოგადოება. იყო მრავალი გვირგვინები, მათ შორის სოც. დემ. ორგანიზაციებიდან, პარიზის ქართული სათვისტომოდან, სოშოს ქართული კოლონიიდან, მატოს ქართველებიდან, ყოფილ სახალხო გვარდიელებიდან, მიუნხენიდან რ. არსენიძისაგან, შვილობილისაგან (მედეა ურატაძე - გორდელაძე), და სხვა მრავალი თაიგულები კერძო პირებისაგან.

სასაფლაოზე გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთქვეს აკ. ჩხენკელმა, კ. გვარჯალაძემ, რ. ყიფიანმა და შ. აბდუშელმა. მისმა მეუღლემ ქ-ნ ნამეტამ მიიღო მრავალი სამძიმრის დეპეშები და წერილები.

**გ. უ.**

---

ულრმეს მადლობას ვუძღვნი ყველა იმ პირთ, ვინც თანაგრძნობით გაიზიარა ჩემი მწუხარება და პატივი სცა ვალოდიას ხსოვნას პირადი დასწრებით თუ წერილობით.

გლოვასა შიგა მყოფი მეუღლე
**ნამეტია გოგუაძისა**

Directeur responsable: Nic. Ourouchadze, 13, rue Edgar-Quinet Montrouge — Seine
Impr. de Navarre, 11, rue des Cordelières, Paris.